ოქმი:**ო03. 3725343001**

თარიღი:**09/12/2025**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 8 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
14:00-4:300 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, ე. წუწუნავა, ბ. თოიძე, გ. გაბისინანი, ი. ჩიკაშუა, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში,საკრებულოს წევრის ლავრენტი ქვილორიას წინადადების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი:გელა ჩავლეშვილი

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის შესახებ

მომხსენებელი:გელა ჩავლეშვილი

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, გელა ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის, ლავრენტი ქვილორიას წინადადება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ. გ.ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წინადადება წარმოდგენილი არ იყო ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნების და წინასწარი განხილვის პროცედურის შესაბამისად, ვინაიდან ის დარეგისტრირდა მიმდინარე წლის 25 ნოემბრის შემდეგ. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე, აღნიშნული წინადადების გათვალისწინება ტექნიკურად შეუძლებელია. თუმცა, მისი სრულყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია წინადადების შემდგომი განხილვის გაგრძელება.

მეორე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის

თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისის 2026 წლის სამუშაო გეგმა.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი